



## საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/113

„ 6 „ აგვისტო 2010წ.

# გ ა ლ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

### საჩხერის რაიონული სასამართლოს მოსამართლე მ. სვიანაძის თბილისის საქალაქო სასამართლოში მივლინების შესახებ

„საერთო სასამართლოებში საქმეთა განაწილებისა და უფლებამოსილების სხვა მოსამართლისათვის დაკისრების წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, 2010 წლის 9 აგვისტოდან:

1. საჩხერის რაიონული სასამართლოს მოსამართლე მაია სვიანაძე მივლინებულ იქნას თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში მოსამართლის უფლებამოსილების განსახორციელებლად.

2. მაია სვიანაძემ, საჭიროების შემთხვევაში, იმავდროულად სამოსამართლო უფლებამოსილება განახორციელოს საჩხერის რაიონულ სასამართლოში.

3. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „საჩხერის რაიონული სასამართლო“ მოსამართლე მ. სვიანაძის ზესტაფონის რაიონულ სასამართლოში მივლინების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2009 წლის 2 დეკემბრის №1/437 გადაწყვეტილება.

ვალერი ცერცვაძე  
საქართველოს იუსტიციის  
უმაღლესი საბჭოს მდივანი